

შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შექმნაზე, ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას 2015 წლის 12 მარტს №2/1310 წერილით მიმართა შპს "ვიტელ ჯორჯიამ" (კომისიაში რეგისტრაციის №6/949-15. 12.03.2015), შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შექმნაზე, კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს "ვიტელ ჯორჯიამ" 2015 წლის 23 ივლისის №2/1381 წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №6/5131-15. 23.07.2015), თხოვნით მიმართა კომისიას, ამავე წარმოების ფარგლებში კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მიზნით განხილულიყო შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმის (შპს „ვიტელ ჯორჯიას“ მიერთება სს „სილქნეტზე“) საკითხიც.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შერწყმის ან წილის შექმნის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შექმნის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის შექმნაც ხდება.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შექმნის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შექმნაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შექმნის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ვიტელ ჯორჯია" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეობებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა  
პაკეტური საკომუნიკაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით

უზრუნველყოფა.

B.F.1. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiMax;

WiFi;

შპს "ვიტელ ჯორჯიას" კომისიის 2012 წლის 15 ივნისის №419/15 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს ნუმერაციის რესურსი 1-1-0-0-4 (ერთი-ერთი-ნული-ნული-ნული-ოთხი), საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზაციის ვადით.

შპს "ვიტელ ჯორჯია" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შემდეგ ლიცენზიებს:

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზია, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2299 მჰც ÷ 2350 მჰც უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 05.05.2016-მდე;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს 2299 მჰც ÷ 2350 მჰც რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F53 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით;

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 2300 მჰც-დან 2350 მჰც-მდე სიხშირულ ზოლში უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა);

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2007 წლის 18 იანვრიდან - 2017 წლის 18 იანვრამდე;

გ) პრაქტიკული საქმიანობის დანების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 1(ერთი) წელი;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს 2300 მჰც-დან 2350 მჰც-მდე რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის მფლობელია "International Resort Holding (Malta) Limited" (ინთერნეიშენალ რიზორტს ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ). შპს "ვიტელ ჯორჯიას" დირექტორია გიორგი სვანიშვილი. "International Resort Holding (Malta) Limited"-ის აქციების 100%-ის მფლობელია "Artio Trustees Limited" (არტო ტრასტიზ ლიმიტედ). "Artio Trustees Limited"-ის გამოშვებული აქციების 50%-ის მფლობელია ქევენ ველლა (Kevin Vella) (543373 M, მალტის მოქალაქე) და 50%-ის ადრიან კუტაჯარი (Adrian Kutajar) (359679 M, მალტის მოქალაქე).

შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის შექმნის მსურველი კომპანიაა - არარეზიდენტი იურიდიული პირი "Rhinestream Holdings Limited" ("რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"). "Rhinestream Holdings Limited"-ის

პარტნიორები არიან: გიორგი რამიშვილი (წილის 61,9%-ის მფლობელი); ალექსი თოფურია (წილის 28,58% მფლობელი) და დავიდ ბორგერი (წილის 9,52%-ის მფლობელი).

კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 2015 წლის 31 მარტის №10/1556-15, 2015 წლის 1 აპრილის №10/1607-15 და 2015 წლის 6 აპრილის №10/1722-15 სამსახურებრივი ბარათების თანახმად, კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით, კომპანია "Rhinestream Holdings Limited" წარმოადგენს სს "სილქნეტის" 100%-იანი წილის მფლობელს. სს "სილქნეტი" წარმოადგენს შპს "ნოვუსის" და შპს "სილქ ლტი"-ს 100%-იანი წილის, ხოლო შპს "საქართველოს მედია ქსელის" 85%-იანი წილის მფლობელს. შესაბამისად, დგინდება აფილირება სს "სილქნეტს", შპს "სილქ ლტი"-ს, შპს საქართველოს მედია ქსელსა და შპს "ნოვუსს" შორის. რაც შეეხება კომპანია "Rhinestream Holdings Limited"-ს, "Rhinestream Holdings Limited"-ის პარტნიორებს: გიორგი რამიშვილს (წილის 61,9%-ის მფლობელი); ალექსი თოფურიას (წილის 28,58% მფლობელი) და დავიდ ბორგერს (წილის 9,52%-ის მფლობელი), სს "სილქნეტის" დირექტორს ლევან ბუჩუკურს; ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიას", შპს "ვიტელ ჯორჯიას" დირექტორს გიორგი სვანიშვილს, მათი აფილირება სხვა ავტორიზებულ პირებთან არ დგინდება. კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3 ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა არხული საკომუნიკაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

პაკეტური საკომუნიკაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.4 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

სპილენძის წყვილების მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური

საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.6 საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

სააბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა;

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.M.1 ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

CDMA.

A.S.1 თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

ტექსტური შეტყობინების მომსახურება.

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

კომუტირებადი არხებით ინტერნეტ მომსახურება (dial-up);

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL);

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება;

CDMA.

B.F.3 მონაცემთა გადაცემა

მონაცემთა გადაცემა.

B.F.4 მაუნყებლობის ტრანზიტი

ტელემაუნყებლობის ტრანზიტი.

B.M.1 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

ადგილობრივი და მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტებთან სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება;

მოძრავი საერთაშორისო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება.

B.M.2 მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა

ტექსტური შეტყობინების მომსახურება;

მულტიმედიაური მომსახურება;

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება (GPRS და სხვა);

მოძრავი ინტერნეტ მომსახურება;

მოძრავი ტრანზიტული მაუნყებლობის მომსახურება;

სხვა მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურება.

B.S.2 ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით.

B.S.3 თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება.

B.F.6 გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand).

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე, მართლზომიერად ფლობს ნუმერაციის რესურსს, რომლებიც გაცემულია შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

№N2 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N20 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N37 (გაცემის თარიღი 09.11.2011), №N51 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N89 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N90 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N92 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N93(გაცემის თარიღი 12.03.2010), №N94 (გაცემის თარიღი 23.02.2007), №N105(გაცემის თარიღი 12.03.2010), № N122 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N136 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N139 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N140 (გაცემის თარიღი 12.03.2010), №N166 (გაცემის თარიღი 21.01.2011),

ამასთან, სს "სილქნეტი" ფლობს კომისიის შემდეგი გადანყვეტილებებით მინიჭებულ ნუმერაციის რესურსს: №436/19 22.06.2012; №664/15 25.11.2011; №665/15 25.11.2011; №275/15 06.04.2012.

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვებს: №N14 (გაცემის თარიღი 27.04.2012), №N17 (გაცემის თარიღი 11.05.2012), №N22 (გაცემის თარიღი 25.05.2012), №N23 (გაცემის თარიღი 25.05.2012), №N28 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N29 (გაცემის თარიღი 29.06.2012), №N36 (გაცემის თარიღი 06.07.2012), №N50 (გაცემის თარიღი 03.08.2012), №N52 (გაცემის თარიღი 03.08.2012), №N53 (გაცემის თარიღი 03.08.2012), №N71 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N72 (გაცემის თარიღი 14.09.2012), №N84 (გაცემის თარიღი 12.10.2012), №N85 (გაცემის თარიღი 12.10.2012), №N86 (გაცემის თარიღი 16.11.2012), №N91 (გაცემის თარიღი 22.11.2012), №N106 (გაცემის თარიღი 08.02.2013), №N121 (გაცემის თარიღი 22.03.2013), №N122 (გაცემის თარიღი 22.03.2013), №N127 (გაცემის თარიღი 12.04.2013), №N133 (გაცემის თარიღი 14.06.2013), №N137 (გაცემის თარიღი 28.06.2013), №N145 (გაცემის თარიღი 23.09.2013), №N165 (გაცემის თარიღი 04.10.2013), №N166 (გაცემის თარიღი 04.10.2013), №N173 (გაცემის თარიღი 29.11.2013), №N183 (გაცემის თარიღი 27.02.2014), №N188 (გაცემის თარიღი 11.04.2014), №N197 (გაცემის თარიღი 31.07.2014), №N203 (გაცემის თარიღი 16.10.2014), №N205 (გაცემის თარიღი 13.11.2014), №N211 (გაცემის თარიღი 16.12.2014), №N215 (გაცემის თარიღი 22.01.2015); №N219 (გაცემის თარიღი 19.03.2015); №N220 (გაცემის თარიღი 19.03.2015).

კომისია აღნიშნავს, რომ სს "სილქნეტი" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შემდეგ ლიცენზიებს: №F28 (გაცემის თარიღი: 12.03.2010); №F11 (გაცემის თარიღი 23.07.2013); ასევე სს "სილქნეტს" შპს "სილქ ლტი"-საგან დროებით სარგებლობაში (25.12.2015-მდე) გადაცემული აქვს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიები: №F64 (გაცემის თარიღი 13.06.2008); №F66 (გაცემის თარიღი: 13.06.2008); №F68 (გაცემის თარიღი: 13.06.2008).

შპს "ვიტელ ჯორჯიას" საქმიანობის ძირითადი სახეა WiFi და WiMax ტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტ მომსახურება. 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის თებერვლის თვის ჩათვლით პერიოდში, შპს "ვიტელ ჯორჯიას" საცალო ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2,101,140 ლარი. 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით შპს "ვიტელ ჯორჯიას" ინტერნეტ აბონენტების რაოდენობამ შეადგინა 4 645 აბონენტი.

კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 2015 წლის 24 ივნისის №10/4255-15 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი ავტორიზებულ პირთა შემოსავლების შესახებ ინფორმაციის (შემოსავლები იმ ქალაქების ჭრილში, სადაც ფუნქციონირებს და შესაბამის მომსახურებას ახორციელებს შპს „ვიტელ ჯორჯია“) საფუძველზე განხორციელდა ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონცენტრირების HHI ინდექსის რაოდენობრივი მნიშვნელობის განსაზღვრა, აღნიშნული განგარიშების შედეგები მოცემულია ცხრილი N 1-ში.

#### ცხრილი N 1

ხვედრითი წილი საცალო უსადენო ინტერნეტ სააბონენტო შემოსავლების მიხედვით, იმ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც საქმიანობას ეწევა შპს „ვიტელ ჯორჯია“.

	HHI ტრანზაქციამდე	სავარაუდო ტრანზაქცია	HHI სავარაუდო ტრანზაქციის შემდეგ	დელტა
ბათუმი HHI	3 558	0	3 619	61
G-Connect	1,75		1,75	
GOLDNET	0,57		0,57	

ა-ნეტი	9,37		9,37	
არგო	0,33		0,33	
აჭარანეტ	1,23		1,23	
ბლექსინეტ	3,31		3,31	
გლობალნეტ-2014	7,53		7,53	
ეარ ლაინი	0,77		0,77	
ექსტრანეტ	5,27		5,27	
ვიტელ ჯორჯია	57,82	-57,82	0,00	
კავკასუს ონლაინი	0,86		0,86	
მაქსნეტი Max.net	2,82		2,82	
მიკრონეტი	1,44		1,44	
ნატექსი	1,16		1,16	
ნეტსერვისი NetService	2,12		2,12	
რეგიონ ონლაინ-Region online	0,09		0,09	
სამნეტ (samnet)	0,01		0,01	
სერვისლაინი	3,02		3,02	
სილქ ლტი	0,01		0,01	
სილქნეტი	0,53	57,82	58,34	
<b>გარდაბნის რაიონი HHI</b>	<b>1 420,73</b>	<b>0,00</b>	<b>1 420,73</b>	<b>0</b>
G-NET	0,36		0,36	
PC&I Networks	6,75		6,75	
Profservice	0,69		0,69	
Skynet	9,28		9,28	
გეო ვლან	4,56		4,56	
გეოფლაი	0,36		0,36	
ვიტელ ჯორჯია	17,22		17,22	
ვიფი ლინე	0,44		0,44	
ვიფინეტი wifinet	1,54		1,54	
ზანეტი	12,84		12,84	
ინტელკომ ჯგუფი	1,43		1,43	
ინტერკომი	3,09		3,09	
კავკასუს ონლაინი	0,15		0,15	
ლომისი 2011	0,00		0,00	
მიკრონეტი	18,47		18,47	
ნატექსი	0,07		0,07	
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	21,21		21,21	
ჯეო ნეთვორქი	0,92		0,92	
ჯეო ნეტი	0,63		0,63	
<b>გურჯაანის რაიონი HHI</b>	<b>4 294,91</b>	<b>0,00</b>	<b>4 296,56</b>	<b>2</b>
Netflix ნეტფლექსი	0,00		0,00	

ვიტელ ჯორჯია	58,14	-58,14	0,00	
ინტერკომი	0,05		0,05	
კავკასუს ონლაინი	0,38		0,38	
ლაივ ნეტ	26,19		26,19	
მიკრონეტი	0,10		0,10	
სილქნეტი	0,01	58,14	58,15	
ფრინეტი	15,12		15,12	
თბილისი HHI	849,26	0,00	891,25	42
Airnet აირნეტი	0,34		0,34	
City Net	2,78		2,78	
Discovery 2	0,18		0,18	
G-Connect	2,03		2,03	
Georgianairlink	13,18		13,18	
icom აიქომი	0,04		0,04	
INTERMEDIARY	5,56		5,56	
MAXNET	0,21		0,21	
net4you	1,76		1,76	
Niknet	2,10		2,10	
SKY FI	2,10		2,10	
Xnet	0,41		0,41	
აირკონექტი	0,54		0,54	
ალტერნეტი	9,18		9,18	
გეოფლაი	0,54		0,54	
გლობალ-ნეტ	0,32		0,32	
ეარნეტი	0,45		0,45	
ვიტელ ჯორჯია	10,57	-10,57	0,00	
ზანეტი	0,01		0,01	
თრია-ნეტ	0,45		0,45	
იმპულსი	0,33		0,33	
ინტელკომ ჯგუფი	8,07		8,07	
ინტერკომი	3,76		3,76	
ინფორმაციული ტექნოლოგიების კონსულტაცია და მომსახურება	0,02		0,02	
კავკასიის ციფრული ქსელი	17,23		17,23	
კავკასუს ონლაინი	2,20		2,20	
მაქსლინკი	0,26		0,26	
მაქსნეტი	1,46		1,46	
მიკრონეტი	4,79		4,79	
ნატექსი	2,72		2,72	
სერვისლაინი	1,81		1,81	
სილქ ლტი	0,00		0,00	

სილქნეტი	1,99	10,57	12,56	
სქაი სერვისი-Sky Service	0,53		0,53	
სქაიტელეკომი-Skytelecom LTD	1,27		1,27	
ულტრა სერვისი	0,64		0,64	
ფასტ ნეტ	0,15		0,15	
ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	0,00		0,00	
<b>თელავის რაიონი HHI</b>	<b>4 088,00</b>	<b>0,00</b>	<b>4 105,43</b>	<b>17</b>
ვიტელ ჯორჯია	2,18	-2,18	0,00	
თელნეტი	8,71		8,71	
კავკასუს ონლაინი	1,53		1,53	
მიკრონეტი	26,03		26,03	
სილქნეტი	4,01	2,18	6,18	
ფრინეტი	57,55		57,55	
<b>ლაგოდეხის რაიონი HHI</b>	<b>6 675,23</b>		<b>6 675,23</b>	<b>0</b>
ვიტელ ჯორჯია	80,31		80,31	
ინტერკომი	2,54		2,54	
კავკასუს ონლაინი	0,91		0,91	
ლაივ ნეტ	14,71		14,71	
ფრინეტი	1,52		1,52	
<b>ლანჩხუთის რაიონი HHI</b>	<b>2 584,45</b>		<b>2 584,45</b>	<b>0</b>
GOLDNET	0,05		0,05	
გურია-ნეტი	28,38		28,38	
ექსპრეს ნეთვორქ	37,60		37,60	
ვიტელ ჯორჯია	8,52		8,52	
ვი-ჯი-ეს ნეთვორქ	10,82		10,82	
კავკასუს ონლაინი	0,67		0,67	
ლუკნეტ (LukNet)	13,21		13,21	
სამნეტ (samnet)	0,74		0,74	
<b>მცხეთის რაიონი HHI</b>	<b>1 553,76</b>	<b>0,00</b>	<b>1 553,80</b>	<b>0</b>
G-NET	9,61		9,61	
POWERNET	19,30		19,30	
WIPEX	1,31		1,31	
ალტერნეტი	6,01		6,01	
ეარნეტი	2,38		2,38	
ვიტელ ჯორჯია	14,41	-14,41	0,00	
იმპულსი	14,27		14,27	
ინტერკომი	24,42		24,42	
კავკასუს ონლაინი	2,06		2,06	
მაქსნეტი	0,03		0,03	
ნატექსი	0,16		0,16	
ნუგზარ ლაფანაშვილი	5,78		5,78	

სერვისლაინი	0,25		0,25	
სილქნეტი	0,00	14,41	14,41	
რუსთავი HHI	4 884,46	0,00	4 885,38	1
PC&I Networks	0,89		0,89	
ალტერნეტი	67,59		67,59	
ვიტელ ჯორჯია	9,42	-9,42	0,00	
ზანეტი	0,28		0,28	
კავკასუს ონლაინი	7,62		7,62	
ნატეესი	12,91		12,91	
საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	1,25		1,25	
სილქნეტი	0,05	9,42	9,47	
ფოთი HHI	4 815,84	0,00	4 816,26	0
ეფსპრეს ნეთვორქ	33,97		33,97	
ვიტელ ჯორჯია	60,36	-60,36	0,00	
კავკასუს ონლაინი	0,61		0,61	
ნატეესი	4,10		4,10	
სილქნეტი	0,00	60,36	60,36	
ფასტ ნეტ	0,95		0,95	
ქობულეთის რაიონი HHI	1 832,31	0,00	1 832,31	0
GOLDNET	9,03		9,03	
NSN GRUP	9,34		9,34	
აირნეტი AIRNET	24,42		24,42	
ექსტრანეტ	2,12		2,12	
ვიტელ ჯორჯია	24,80		24,80	
ინტელკომ ჯგუფი	0,60		0,60	
კავკასუს ონლაინი	0,17		0,17	
მაქსნეტი Max.net	19,36		19,36	
მიკრონეტი	1,86		1,86	
რეგიონ ონლაინ-Region online	8,30		8,30	
ყვარლის რაიონი HHI	2 351,38	0,00	2 469,14	118
ვიტელ ჯორჯია	18,78	-18,78	0,00	
ინტერკომი	19,84		19,84	
კავკასუს ონლაინი	1,89		1,89	
მიკრონეტი	29,58		29,58	
რეგიონ ონლაინ-Region online	0,00		0,00	
სილქნეტი	3,13	18,78	21,92	
ფრინეტი	26,77		26,77	
ხელვაჩაურის რაიონი HHI	1 681,81		1 681,81	0
GOLDNET	4,51		4,51	
NEW-NET	20,01		20,01	

ბლექსინეტ	3,56		3,56	
ვარ ლაინი	23,35		23,35	
ექსტრანეტ	15,68		15,68	
ვიტელ ჯორჯია	9,54		9,54	
კავკასუს ონლაინი	0,12		0,12	
მაქსნეტი Max.net	4,04		4,04	
მიკრონეტი	18,71		18,71	
ნეტსერვისი NetService	0,49		0,49	

კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების" მე-19 მუხლის და 31-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) და დელტას მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილი N 2-ში.

ცხრილი N 2

გეოგრაფიული ზონა	HHI	კონცენტრირებულობა	დელტა
თბილისი	891	დაბალკონცენტრირებული	42
ბათუმი	3 619	მაღალკონცენტრირებული	61
გარდაბნის რაიონი	1 421	ზომიერად კონცენტრირებული	0
გურჯაანის რაიონი	4 297	მაღალკონცენტრირებული	2
თელავის რაიონი	4 105	მაღალკონცენტრირებული	17
ლაგოდეხის რაიონი	6 675	მაღალკონცენტრირებული	0
ლანჩხუთის რაიონი	2 584	მაღალკონცენტრირებული	0
მცხეთის რაიონი	1 554	ზომიერად კონცენტრირებული	0
რუსთავი	4 885	მაღალკონცენტრირებული	1
ფოთი	4 816	მაღალკონცენტრირებული	0
ქობულეთის რაიონი	1 832	მაღალკონცენტრირებული	0
ყვარლის რაიონი	2 469	მაღალკონცენტრირებული	118
ხელვაჩაურის რაიონი	1 682	ზომიერად კონცენტრირებული	0

კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების" 31-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული ტრანზაქცია არ ექვემდებარება დეტალურ გამოკვლევას, რადგან დელტა არ აღემატება 150 ერთეულს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შპს "ვიტელ ჯორჯია" აღნიშნული მომსახურების მიწოდებას ახორციელებს იმ გეოგრაფიულ ზონებში სადაც სს „სილქნეტი“ საბაზრო წილი უმნიშვნელოა ან ბაზარის ამ კონკრეტულ სეგმენტზე სს „სილქნეტი“ არ არის წარმოდგენილი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით კომისიამ 2015 წლის 5 ივნისის 08/955-15 წერილით მიმართა შპს „ვიტელ ჯორჯიას“, აღნიშნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით წარმოედგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

შპს „ვიტელ ჯორჯიამ“ 2015 წლის 22 ივნისის N 2/1369 წერილით წარმოადგინა აღნიშნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით შემდეგი ახსნა- განმარტებები:

1. შპს „ვიტელ ჯორჯია“ ინტერნეტ მომსახურებას საკუთარ აბონენტებს WiMax ტექნოლოგიის საშუალებით აწვდის. აღნიშნული ტექნოლოგია მსოფლიოს მასშტაბით უპერსპექტიოდ ითვლება, რაც ასევე აისახება იმაზე, რომ აქტიური აბონენტების რაოდენობა და შესაბამისი შემოსავლები სწრაფად მცირდება, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის დამატებით ქსელური აპარატურის და სააბონენტო მოწყობილობების შექმნას და ამ მოწყობილობების დანახარჯების განწვეის თვალსაზრისით ტექნიკურ მომსახურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ასეთი ქსელების LTE ტექნოლოგიაზე გადაწყობა;

შენიშვნა:

ა) აღნიშნული წერილით შპს „ვიტელ ჯორჯიამ“ ასევე წარმოადგინა Ernst & Young –ის მიერ აუდირებული შპს „ვიტელ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2013 წელს კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა ზარალით დასრულდა ამასთან 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული მიმდინარე ვალდებულები აჭარბებს მიმდინარე აქტივებს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტორი თვლის, რომ კომპანიის მომავალი ფუნქციონირება საეჭვოა.

ბ) კომისიის სტატისტიკური ბაზის მონაცემების მიხედვით 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის აპრილამდე შპს „ვიტელ ჯორჯიას“ აბონენტები 8 139- დან მცირდება 3 992 -მდე.

2. კომპანიას მიაჩნია, რომ ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირების გასაგრძელებლად „ვიტელ ჯორჯიას“ ესაჭიროება LTE ტექნოლოგიის დანერგვა, რაც ძალიან დიდ კაპიტალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და კომპანიის აქციონერებს არ ძალუძთ შესაბამისი დაფინანსების მოზიდვა, ამასთან შპს „ვიტელ ჯორჯიას“ დამოუკიდებელი არსებობის საშუალება არ გააჩნია, ამიტომ კომპანია თვლის, რომ კომპანიის მომავალი მხოლოდ სხვა ისეთ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან ერთად მოიაზრება, რომელიც უკვე ახორცილებს მსგავს მომსახურებას და შეუძლია შესაბამისი კაპიტალური დანახარჯების განწვეა;

3. შპს „ვიტელ ჯორჯიას“ 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით ხელშეკრულებით ნაკისრი მნიშვნელოვანი შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები არ აქვს (წერილში აღნიშნულია მხოლოდ შპს „ახალი ქსელების“ მიმართ დავალიანება 22, 432 ლარის ოდენობით);

4. შპს „ვიტელ ჯორჯია“ აღნიშნავს, რომ ადგილი არ აქვს ისეთი გარემოებების არსებობას, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვიათ კომპანიის გაკოტრება;

5. შპს „ვიტელ ჯორჯიას“ წარმოებაში აქვს მხოლოდ ერთი მიმდინარე სასამართლო დავა თბილისის მერიასთან სასარჩელო მოთხოვნის ოდენობიდან გამომდინარე აღნიშნული სასამართლო პროცესი გავლენას ვერ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე;

6. 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით შპს „ვიტელ ჯორჯიას“ საბანკო და სხვა სესხები არ ერიცხება;

7. შპს „ვიტელ ჯორჯიას“ მიმდინარე და დაუსრულებელ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები არ აღერიცხება;

8. შპს „ვიტელ ჯორჯიამ“ წარმოადგინა ინფორმაცია ჯარიმების დაკისრების შესახებ, საგადასახადო შემონქმების შედეგად დარიცხულმა ჯარიმების და საურავების საერთო თანხამ შეადგინა 103, 439 ლარი.

9. მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშის მიხედვით კომპანიაში ნეტო ფულადი ნაკადების მოძრაობა დადებითია 2014 წლის მონაცემების მიხედვით ფულადი ნაკადების შემოდინებამ ფულადი ნაკადების გადინებას გადააჭარბა 663,602 ლარით.

როგორც შპს „ვიტელ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და დოკუმენტაციით, მათ შორის Ernst & Young –ის მიერ გაცემული აუდიტის დასკვნის მიხედვით, ირკვევა შპს „ვიტელ ჯორჯია“

ეკონომიკური საქმიანობა ზარალიანი, რაც თავის მხრის ვერ უზრუნველყოფს ყოველდღიური ოპერირების ფარგლებში სააბონენტო მონყობილობების შექმნას და ამ მონყობილობების ტექნიკურ მომსახურების თვალსაზრისით ყოველთვიური დანახარჯების განევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით ეკონომიკური შინაარსის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შექმნის შემთხვევაში, ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმის შემთხვევაში ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მდგომარეობა უცვლელი დარჩება. შესაბამისად, შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შექმნამ, ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმამ არ უნდა მოახდინოს სხვა კომპანიებისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებების შექმნა ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე შესვლისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა აუცილებლად შესასწავლია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საკითხიც. "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს შეიძლება შეეზღუდოს ლიცენზიის გადაპირება, თუ პირდაპირი გადაპირების წესით ამონურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემისას პირი დამოუკიდებლად ან/და მასთან ერთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობის გადაპირებასთან დაკავშირებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი.

შპს "ვიტელ ჯორჯია" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შემდეგ ლიცენზიებს:

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზია, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2299 მჰც ÷ 2350 მჰც უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 05.05.2016-მდე;

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F53 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 2300 მჰც-დან 2350 მჰც-მდე სიხშირულ ზოლში უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა);

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2007 წლის 18 იანვრიდან - 2017 წლის 18 იანვრამდე;

სს "სილქნეტს" შპს "სილქ ლტი"-საგან დროებით სარგებლობაში (25.12.2015-მდე) გადაცემული აქვს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიები: №F64 (გაცემის თარიღი 13.06.2008); №F66 (გაცემის თარიღი: 13.06.2008); №F68 (გაცემის თარიღი: 13.06.2008).

1. №F64 - რადიოსიხშირული ზოლი: 2350 მჰც-დან - 2400 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე;
2. №F66 - რადიოსიხშირული სპექტრი: 2350 მჰც ÷ 2382 მჰც სიხშირული დიაპაზონში უსადენო რადიოდამკვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;
3. №F68 - რადიოსიხშირული სპექტრი: 2350მჰც-დან 2382 მჰც-მდე სიხშირულ ზოლში უსადენო რადიოდამკვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

თბილისი	2200-2250	2250-2300	2300-2350	2350-2382	2382-2400	სულ მჰც	200
სს "სილქნეტი"				F66		32	16%
შპს "ვიტელ ჯორჯია"			F48			50	25%
						82	41%

  

დანარჩენი საქართველო	2200-2250	2250-2300	2300-2350	2350-2382	2382-2400	სულ მჰც	200
სს "სილქნეტი"				F64 & F68		50	25%
შპს "ვიტელ ჯორჯია"			F53			50	25%
						100	50%

სავარაუდო ტრანზაქციის შემდეგ რადიოსიხშირული ზოლში 2200მჰც-დან 2400მჰც-მდე, რომელიც განაწილებული და გაცემულია წერტილი-მრავალწერტილი მომსახურებისათვის ერთი ჯგუფის (სილქნეტის 100% წილის მფლობელის) ხელში აღმოჩნდება თბილისში 82 მჰც აღნიშნული რადიოსიხშირული ზოლის 41% და დანარჩენ საქართველოში 100 მჰც აღნიშნული რადიოსიხშირული ზოლის 50%. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ამ ტრანზაქციის სრულყოფილად შესწავლის მიზნით დასადგენია ასევე აღნიშნული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა.

კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ივემება სიხშირული დაგეგმარების დებულებაში ცვლილებების შეტანა, რასთან დაკავშირებითაც კომისიის მიერ გამოქვეყნებულია საკონსულტაციო დოკუმენტი, სადაც განხილვისა და საჯარო მსჯელობის თემას წარმოადგენს თავისუფალ სიხშირულ აუქციონზე ზღვრული სიხშირული ოდენობის დადგენის საკითხი, კერძოდ განხილვის თემაა როგორც ერთიანი სიხშირული ზღვარის დადგენის საკითხი, ასევე კონკრეტულ ზოლში სიხშირული ზღვარის დადგენის საკითხი. ბატონმა ვახტანგ აბაშიძემ ასევე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან და ევროპის მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებულ გადანაცვებილებთან ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა, კახი ბექაურმა აღნიშნა, რომ ვინაიდან კომისიის მიერ მომავალში ივემება აუქციონის პირობებში განისაზღვროს კონკრეტული თავისუფალი სიხშირული ზოლის ზედა ზღვარის დადგენა, ასევე ჰარმონიზირებული მსგავსი მახასიათებლების მქონე სიხშირული ზოლების ჯამური ზედა ზღვრული ოდენობის დადგენა, მომხრეა ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდეს აღნიშნულ ტრანზაქციაზე მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ (მომხრე კომისიის წევრები: ვახტანგ აბაშიძე, კახი ბექაური, გიორგი ფრუიძე, მერაბ ქათამაძე, წინააღმდეგი კომისიის წევრი ელისო ასანიძე)

გ ა დ ა ნ ც ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს "ვიტელ ჯორჯიას", შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შეძენაზე, ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმაზე;
2. გადანაცვებილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს "ვიტელ ჯორჯიასათვის" ამ გადანაცვებილების დამონშებული ასლის ჩაბარების დღიდან, ერთი თვის ვადაში;
3. გადანაცვებილება ძალაში შედის გადანაცვებილების დამონშებული ასლის შპს "ვიტელ ჯორჯიასათვის" ჩაბარების დღიდან;
4. კონტროლი აღნიშნული გადანაცვებილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის წევრ ელისო ასანიძის განსხვავებული აზრი: კომისიას გამოქვეყნებული აქვს საკონსულტაციო დოკუმენტი "უსადენო-ფართობლოვანი მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებული და კანდიდატი სიხშირული დიაპაზონები, ხელმისაწვდომი რესურსი და დაგეგმილი აუქციონი", სადაც კომისიას რამოდენიმე მიდგომა აქვს ასახული სიხშირული რესურსის ეფექტური გამოყენების თაობაზე. საკონსულტაციო პროცესი ჯერ დასრულებული არ არის და შესაბამისად, კომისიის მიერ არც შესაბამისი იურიდიული დოკუმენტი არ არის მიღებული. ვინაიდან შპს "ვიტელ ჯორჯიას" წილის 100%-ის კომპანია "რაინსტრიმ ჰოლდინგს ლიმიტედ"-ის მიერ შეძენის შემთხვევაში, ასევე შპს "ვიტელ ჯორჯიასა" და სს „სილქნეტის“ შერწყმის შემთხვევაში, 2,3 მჰც- 2,4 მჰც ძირითადი სიხშირული რესურსი კონცენტრირებული იქნება ერთი კომპანიის ხელში, ეს საკითხი განხილული უნდა იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება შესაბამისი დოკუმენტი, სადაც აისახება კომისიის მიდგომა სიხშირული რესურსის ეფექტური გამოყენების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბეჟაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე